სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

სსიპ

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001410916
18/03/2016
201 წ.

5001410916

სსიპ ქალაქ თბილისის N96 საჯარო სკოლის
წარმომადგენელს ქალბატონ ქრისტინე ნამგალაძეს

ქალბატონო ქრისტინე,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2016 წლის 4 თებერვლის რეგისტრაციის N1000802616) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N001482716 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 08 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge
(995 422) 27 94 30
info@forensics.ge

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi., Georgia

001482716

ექსპერტის დასკვნა № 001482716

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქვესტრუქტურა: სსიპ ქალაქ თბილისის 96 საჯარო სკოლა

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: ქ. თბილისი. ქ. წამებულისქ. #57

სახელი და გვარი: ქრისტინე ნამგალაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ზურაბ კლდიაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის №GAC-PC-0002

ნინო შერაზადიშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის NGEO-268-20432279 ISO/IEC 17024 შესაბამისობის სერტიფიკატი A-0064

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ ქ.თბილისში ქ.წამებულის ქ.№57-ში, მდებარე სსიპ ქალაქ თბილისის №96 საჯარო სლოკის ეზოში მდგარი სააქტო დარბაზისა და დამხმარე სათავსოს საბაზრო ღირებულება.

შემოსვლის თარიღი: 04.02.2016წ.

გასვლის თარიღი: 18.03.2016წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში, გამზირი ქეთევან წამებულის №57-ში მდებარე ,,თბილისის №96 საჯარო სკოლა"-ის ეზოში განთავსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 255.65 კვ.მ-ს.

№1 ოთახი ფართით 19.82 კვ.მ, №2 ოთახი ფართით 34.99 კვ.მ, №3 ოთახი ფართით 34.75 კვ.მ, №4 ოთახი ფართით 17.94 კვ.მ, №5 ოთახი ფართით 34.75 კვ.მ, №6 ოთახი ფართით 23.02 კვ.მ, №7 ოთახი ფართი 28.24 კვ.მ, №8 ოთახი ფართით 62.14 კვ.მ. (იხ. დანართი №1 და კვლევითი ნაწილი).

ზურაბ კლდიაშვილი

001482716

ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზ. N57-ში განთავსებული, სსიპ ქალაქ თბილისის N96 საჯარო სკოლის ეზოში (უძრავი ქონების ს/კ N01.17.13.042.012) მდებარე შენობა-ნაგებობის (საერთო ფართობით 255.65 კვ.მ) საბაზრო ღირებულება (მიწის ნაკვეთის ღირებულების გარეშე) 2016 წლის 17 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 7670 ლარს.

ნინო შერაზადიშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო-ტექნიკური კვლევა (კვლევა ჩაატარა ექსპერტმა ზ.კლდიაშვილმა)

ექსპერტის დასკვნის მომზადება წარმოებს ადგილზე აზომვების შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოქმედი ტექნიკური ნორმების ურთიერთშედარების მეთოდით.

როგორც წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა გამოსაკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, გამზირი ქეთევან წამებულის №57-ში.

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ჩემს მიერ ადგილზე დათვალიერებული იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გამოსაკვლევი ობიექტი. შესაბამისი აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად ქ. თბილისში, გამზირი ქეთევან წამებულის №57-ში მდებარე ,,თბილისის №96 საჯარო სკოლა"-ის ეზოში განთავსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 255.65 კვ.მ-ს, მათ შორის: №1 ოთახი ფართით 19.82 კვ.მ, №2 ოთახი ფართით 34.99 კვ.მ, №3 ოთახი ფართით 34.75 კვ.მ, №4 ოთახი ფართით 17.94 კვ.მ, №5 ოთახი ფართით 34.75 კვ.მ, №6 ოთახი ფართით 23.02 კვ.მ, №7 ოთახი ფართი 28.24 კვ.მ, №8 ოთახი ფართით 62.14 კვ.მ. (იხ. დანართი №1).

ზურაბ კლდიაშვილი

სასაქონლო კვლევა (კვლევა ჩატარა ექსპერტმა ნ. შერაზადიშვილმა)

ექსპერტიზის წინაშე დასმულია საკითხი დადგინდეს ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზ. N57-ში განთავსებული, სსიპ ქალაქ თბილისის N96 საჯარო სკოლის ეზოში მდებარე შენობა-ნაგებობის (სააქტო დარბაზი და დამხმარე სათავსო) საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის ღირებულების გარეშე. აღნიშნულის გადაწყვეტის მიზნით ექსპერტის მიერ საკვლევი ობიექტი დათვალიერდა, დასურათდა და ჩაუტარდა შესაბამისი კვლევა.

განაცხადის რეგისტრაცია: №882016123996; მომზადების თარიღი: 04/03/2016; საკადასტრო კოდი: №01.17.13.042.012; მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, N57; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 6044.00 კვ.მ; ნაკვეთის წინა ნომერი: 42; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1; შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 3575.58; მესაკუთრე: სახელმწიფო.

საინჟინრო კვლევაზე დაყრდნობით შესაფასებელი შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს 255.65 კვ.მ-ს.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ შესაფასებელი ობიექტი წარმოადგენს ქ. თბილისის N96 საჯარო სკოლის ეზოში განთავსებულ ერთსართულიან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობას, რომელიც იმყოფება კარკასულ მდგომარეობაში და აღენიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები.

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები: